



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არზი-მემლექეთი

არზი-მემლექეთი (არაბ. არდ - მინა და მამლაქათ - ქვეყანა), ფეოდალური მიწათმფლობელობის ძირითადი ფორმა შუა საუკ. ოსმალეთში. ა.-მ-ის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო სამხ. საკარგავები (თიმარი და ზემეთი), რ-ებსაც სალამქრო მოვალეობის შესრულების პირობით აძლევდნენ სულთნის მხედრებს - სიფაჰიებს. ა.-მ-ის მთელი ფონდი სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენდა და ოსმ. სამხ. ფეოდ. სისტემის მატერ. საფუძველს ქმნიდა. მისი ძირითადი წყარო დაპყრობილი ქვეყნების მიწები იყო. ა.-მ. ოსმ. ხელისუფლებამ მესხეთშიც შემოიღო (დაპყრობის შემდეგ). ოსმ. პირობითი მიწათმფლობელობის დანერგვა განვითარებულ ქართ. ფეოდ. საზ.-ბაში რეგრესული მოვლენა იყო.

ვ. ჩოჩიევი
